საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-- 02/82

ქ. ბათუმი 07 აპრილი, 2022 წ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის დისციპლინის უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N01-08/51 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ,ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) დებულების დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 06 აგვისტოს №07-01/42 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) პერსონალის სამუშაოთა (ფუნქციათა) აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 3 დეკემბრის N01-10/101 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის დისციპლინის უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის **2015 წლის 5 ნოემბრის N01-08/51 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, **მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,7. ბსუ-ს პერსონალის სამუშაო ადგილზე გამოცხადების (მოსვლა/ყოფნა/წასვლა) მონიტორინგი განახორციელოს ბსუ-ში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა - ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია), <u>მათ შორის:</u>

ა) ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამუშაო ადგილზე გამოცხადების მონიტორინგი - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან/შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან კოორდინირებული მუშაობით;

ბ) ელექტრონული ტაბელის ყოველი 15 კალენდარული დღის მონაცემების დამუშავება - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის ტექნიკური დახმარებით.

2. იურიდიულ დეპარტამენტს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით კოდიფიცირებული ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 5 ნოემბრის N01-08/51 ბრძანების მომზადება და ბსუ-ს ვებვერდზე, საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტებში მისი გამოქვეყნების მიზნით სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**